



საქართველო

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.: 0413 27 60 60, 27 50 16
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address : www.senaki-sakrebulo.gov.ge

№ 35

28 დეკემბერი 2020 წელი

სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი №44.04.30.492) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას (21.09.20წ. №01/4501; 21.10.20წ. №06/402029517) წერილებით მომართა საქართველოს საპატრიარქომ და საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის 2002 წლის 14 ოქტომბერს გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად მოითხოვა სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი №44.04.30.026) მდებარე XVIII ს. წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის ნანგრევების და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთის (1253კვ.მ) საქართველოს საპატრიარქოსათვის საკუთრებაში გადაცემა. განხორციელდა ზემოაღნიშნული ქონების გაყოფა და საპატრიარქოს მიერ მოთხოვნილ მიწის ნაკვეთს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიენიჭა (საკადასტრო კოდი №44.04.30.492).

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, 108-ე მუხლის, საქართველოს საპატრიარქოს 21.09.20წ. №01/4501; 21.10.20წ. №06/402029517 წერილების და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 22 დეკემბრის №40-402035785 მომართვის შესაბამისად

1. გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდით №44.04.30.492), შემდგომში საქართველოს საპატრიარქოსათვის გადაცემის მიზნით.
2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას და საქართველოს საპატრიარქოს.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: სენაკი, რუსთაველის ქ. №247).

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

ბადრი კალანდარიშვილი

